

საპრებელი

საორტული გაჯეთი გაპოცევა 1990 წლის 28 დეკემბერიდან საშაბათი, 25 იანვარი 1994 № 3 (78) ჟანი 4000 კუპონი

ჩვენი მატოქაა მსოფლიოს ჩაპიონი

შაბათს მანჩესტერში ევროპის მომავალი ჩემპიონატის ნილისყრა შედგა, რომელშიც პირველად მონაწილეობდა საქართველოს ნაკრები. შესარჩევ ტურნირში, რომელიც ნლეულსვე დაიწება, ნილისყრამ მეტოქეებად გვარგუნა: მსოფლიოს ჩემპიონი გერმანია, უელსი, ბულგარეთი, ალბანეთი და მოლდოვა. ჩემპიონატის ფინალური ეტაპი 1996 წელს ინგლისში გაიმართება.

დღევანდელ ნომერში მანჩესტერიდან „სარბიელის“ სპეციალური კორესპონდენტის დავით მჭედლიშვილის რეპორტაჟის გარდა გაცნობით ჩვენს მომავალ მეტოქეებასა და სხვა საინტერესო მასალებს.



ფიფას შარშანდელი კლასიფიკაციით მსოფლიოს უძლიერესი გუნდი აშშ-ის ნაკრებთან მატჩის წინ. ქვედა რიგში: მათეუსი, რილდე, შტრუნცი, ბანი, კლინსმანი, ზედა რიგში: კეკელიძე, ცოცხი, ევენდერგი, შულცი, ბუნგალდი, კოლერი



1:500 საქართველოს ნაკრების ჩაპიონობაში

22 იანვრის კენჭისყრაზე დასწრების უფლება გასული წლის ბოლო დღეს მივიღე, როცა უფედან წერილი მომივიდა: მოხარული ვართ, რომ თქვენი სახით ქართული გაზეთი „სარბიელი“ წარმოდგენილი იქნება კენჭისყრაზე. მართალი გითხრათ, მე, გონა, რომ ევროპის დიდი სპორტული გამოცემების წარმომადგენლები ისე შეავსებდნენ „გრანადა სტუდიოს“ 240 ადგილიან დარბაზს, რომ ჩემთვის აღარაფერი დარჩებოდა, მაგრამ ლამის პირიქით მოხდა, მანჩესტერში 21 იანვარს ჩავედი. კენჭისყრის მონაწილეებს ორი ფეშენებელური სასტუმრო ელოდათ. აკრედიტაციის გავლის შემდეგ ჟურნალისტები და სხვადასხვა ქვეყნის საფეხბურთო წრეების წარმომადგენლები ერთად გავემზადებეთ პრეზენტაციას, რომელსაც... ჰოლანდიისა და ბელგიის ფეხბურთის ფედერაციები აწყობდნენ. საქმე ისაა, რომ ეს ქვეყნები ამირებენ ერთად ჩაატარონ 2000 წლის ევროპის ჩემპიონატი და საამისოდ არაფერი იშურებენ. ამას ნათლად მოწმობდა დიდი ოდენობის ჰოლანდიური ყველი და ბელგიური ლუდი, რომელიც პრეზენტაციის ორგანიზატორებმა სტუმრებს დაახვედრეს. თან ამ ჰამა-სამაში მათი პრეტენზიების საფუძვლიანობა აგინხსნეს. პირადად მე ნანახის და მოსმენილის შემდეგ თანახმა ვარ, რათა ბელგიამ ზა ჰოლანდიამ ერთობლივად გამართონ ჩემპიონატი, თუმცა მე არავინ მეკითხება, ხოლო რას ფიქრობდნენ იმ საღამოზე დამსწრე იუჰანსონი და ბლატერი, არავინ იცის.

თავად წილისყრა... კინოსტუდიის შენობაში ჩატარდა. პირველი დარბაზი, სადაც მოვხვდით, შერლოკ ჰოლმისის სერიალის პავლიონი ყოფილა. აქ დაგვირიგეს საშვები: ზოგს წითელი ფერის, ზოგსაც — მწვანე. ჩემს წინ მდგომ ფრანგული „ეკიპის“ ჟურნალისტს მწვანე საშვი შეხვდა, მე კი წითელი მარჯუნეს. მაშინ გავიფიქრე, მე ალბათ იმ ოთახში მდგარი უზარმაზარი ეკრანის ხილვით უნდა დავემა-

ყოფილდე-მეთქი, მაგრამ როცა წილისყრის დარბაზში მხოლოდ წითელსაშვიანები შეგვიშვეს, გულში უფეას მისამართით ბევრი სამადლობელი სიტყვა ვთქვე. ცერემონია „არსენალისა“ და შოტლანდიის ნაკრების ყოფილმა მეკარემ ბობ უილსონმა გახსნა. საზეიმო ნაწილის შემდეგ დაიწყო მთავარი წარმოდგენა. სიძლიერის მიხედვით გუნდები ექვს „კალათაში“ იყვნენ განაწილებულნი. ჩვენი ნაკრები მეოთხე კატეგორიის გუნდებში იყო. წილისყრა დაიწყო უსუსტეს გუნდების განაწილებით და როცა ერთერთი ბურთულა გაიხსნა და მასში საქართველოს სახელი ეწერა, უკვე ცნობილი იყო ჩვენი ორი მეტოქე — ალბანეთი და მოლდოვა. მალე 1966 წლის ფინალში „მეთ-თრიქს“ ავტორმა ჯეფრი ჰერსტმა მესამე კატეგორიის გუნდები გაანაწილა და ჩვენი კიდევ ერთი მეტოქე დაასახელა — ფრანგების დამაქცივარი ბულგარეთი. შემდეგ ბობი ჩარლტონი „ჩაერია საქმეში“ და უელსის ნაკრები გვარგუნა. აღსანიშნავია, რომ ამ მომენტამდე ხუთიოდ წუთით ადრე დარბაზში დიდი აურზაური ატყდა: უკრაინის განაწილებამ მეოთხე ჯგუფში გამოიწვია ის, რომ ჯგუფს უმაღ ყოფილ იუგოსლავიურ-საბჭოთა უწოდეს და რასაკვირველია, უძლიერესად განაწილებულ რვავე გუნდის წარმომადგენლებს ამ ჯგუფში მოხვედრა მოუხდათ. ფაგორიტებს თავიანთი ადგილები უკვე ტომ ფინემ ჩამოურთვა: დანია ისევე ესპანეთს ჩაუგდო ხაზაში, „კარგი ჯგუფი“ იტალიას მისცა (შემდეგ არიგო საკი იხანდა — საკმაოდ ძლიერი ჯგუფია, მაგრამ იტალიელთა ბანაკში ატეხილი ყვილ-ხივილი სხვას მოწმობს), ირლანდია ისევე თავის ჩრდილოელ მემბს შეახვედრა. ბოლოს ორი ბურთულა იყო დარჩენილი და ჩვენი ჯგუფის ბოლო და ყველაზე ძლიერი წევრი ჯერ არ იყო ცნობილი — ან რუსეთი უნდა შეგვხვედეს, ან გერმანია. და აი, ფინემ ჩვენს მეტოქედ მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი დაასახელა.

რა თქმა უნდა, იმწუთისვე ბერტი ფოგსტან ალმონენდი. ძლიერი ჯგუფია — მითხრა გერმანელთა მწვრთნელმა და განაგრძო: „ზაც შეეხება საქართველოს ნაკრებს, მასზე არავითარი ინფორმაცია არ გამანია. ისე კი ვიცი, რომ ღქვენი ქვეყნის ჩემპიონი თბილისის „დინამო“ ძალიან ძლიერია. არ ვიცი, რა გადაწყვეტილებას მიიღებს უელსი, მაგრამ თანახმა ვარ, რომ ჩვენი შეხვედრა თბილისში შედგეს“. მალე ახალკაცი და ჩივაძე „ვიხსენი“ ჟურნალისტთა ტყვეობიდან. ცხელ კვალზე მათ შემდეგი განაცხადეს — ჩივაძე: „ძლიერი ჯგუფია, თუმცა უარესი შეიძლება. მთავარია ჩვენ შევეკრიბოთ უძლიერესი შემადგენლობა“; ახალკაცი: „ძლიერი ჯგუფია. პირველ სამ მეტოქეს თქვენც კარგად იცნობთ. ალბანეთის ნაკრები კი თითქოს ხელწამოსაკრავია, მაგრამ მე ნანახი მაქვს ამ გუნდის თამაში და ვიცი, რომ ისიც საკმაოდ ძლიერია“. ჩვენს დანარჩენ მეტოქეთა წარმომადგენლებს ვერ შევხვდით: ბულგარეთის ნაკრები ახლა ამერიკაში იმყოფება და რასაკვირველია მწვრთნელიც თან ახლავს, ხოლო უელსის ნაკრებს ჯერჯერობით არ ჰყავს მწვრთნელი. საქმე იმაშია, რომ წინა, ტერი იორატი, რუმინელებთან წაგებისა და აქედან გამომდინარე ამერიკის ჩემპიონატზე ვერწასვლის გამო გადადგა, ახალი კი ჯერ არ დაუნიშნავთ. წილისყრას უელსის ფეხბურთის ასოციაციის პრეზიდენტი ალან ევანსი ესწრებოდა და ჟურნალისტებს შემდეგი გვითხრა: „გერმანია, რაღა თქმა უნდა, ფაგორიტია, მაგრამ ჩვენი შინაური სტადიონი მისთვის არც ისე იდბლიანია (1992 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში უელსმა შინ 1:0 მოუგო გერმანიას. დ.მ.). მეორე ადგილისათვის ჩვენი მთავარი კონკურენტი ბულგარეთი იქნება. რაც შეეხება დანარჩენ სამ გუნდს, მათთან ურთიერთობაში პრობლემა ის იქნება, როგორ ჩავალწიოთ ამ ქვეყნებამდე. ახლა აღმოჩინე, რომ

- I ჯგუფი: საფრანგეთი, პოლონეთი, რუმინეთი, ისრაელი, სლოვაკეთი, აზერბაიჯანი
- II ჯგუფი: დანია, ესპანეთი, ბელგია, მადელონა, კვიპროსი, სომხეთი
- III ჯგუფი: შვედეთი, შვეიცარია, უნგრეთი, ისლანდია, თურქეთი
- IV ჯგუფი: იტალია, უკრაინა, ლიტვა, ესტონეთი, სლოვენია
- V ჯგუფი: პოლანდია, ნორვეგია, ჩეხეთი, ბელარუსი, მალტა, ლუქსემბურგი
- VI ჯგუფი: ირლანდია, ჩრდ. ირლანდია, პორტუგალია, ავსტრია, ლატვია, ლიხტენშტაინი
- VII ჯგუფი: გერმანია, უელსი, ბულგარეთი, საქართველო, ალბანეთი, მოლდოვა
- VIII ჯგუფი: რუსეთი, საბერძნეთი, შოტლანდია, ფინეთი, ფარერები, სან მარინო

ჯგუფები გამარჯვებული პირდაპირ ფინალურ ეტაპზე დაიშვებიან მასპინძლებთან, ინგლისელებთან ერთად. დარჩენილ ვაკანსიებს შეავსებენ მეორე ადგილზე გასული გუნდები, რომელთაც ორი უარესი შედეგის (სათვალაუბრი მიიღება მხოლოდ პირველ, მესამე და მეოთხე ადგილებზე გასულ გუნდებთან მატჩების შედეგები) შერჩეული ნაკრები ერთმანეთს შეხვედრა ნეიტრალურ მიწაზე. „ზედმეტის“ გამოსაწვანად ევროპის ჩემპიონატის მატჩებში გამარჯვებისთვის ამირიდან 3 ქულა ირიცხება. ფინალურ ეტაპზე კი დამატებითი დრო ჩვეული 30 წუთის ნაცვალად პირველ გოლმდე გვგრძელდება.

იხილეთ მესამე გვერდი

9 კვირა 87

საქართველოს ნაკრების მატჩები

გერმანია



Deutscher Fussball Bund
დაარსდა 1900
ფიფაში განევრინა 1919
უეფაში განევრინა 1954
ევროპის ორგანის ჩემპიონი (1972, 1980)
ევროპის ჩემპიონატზე:
60: +36, =16, -8; 116-41

მწვრთნელი — ბერტი ფოგტსი
1993 წელს ნათამაშევი მატჩები:

24. 03. გლაზგო.
შოტლანდია — გერმანია 0:1
კეპე, ბუხვალდი, კოლერი, კოლერი, ტონი, ცორკი, პესლერი, მათეუსი, კლინსმანი, რიდლე, დოლი
გოლები: რიდლე

14. 04. ბოხუმი.
გერმანია — გაზა 5:1
კეპე, ბუხვალდი, კოლერი, კოლერი, ტონი, ცორკი, პესლერი, მათეუსი (პასლერი 83), ბაინი (მიოლერი 78), კლინსმანი, რიდლე (კირსტენი 46)
გოლები: კირსტენი, უფენბერგი (2), კლინსმანი (2), მიოლერი

10. 06. ვაშინგტონი.
ბრაზილია — გერმანია 3:3
კეპე, ბუხვალდი, კოლერი, კოლერი, უფენბერგი, მიოლერი, ცორკი (შტრუნცი 46), მათეუსი, ზამერი (რიდლე 46), ციგე (შულცი 74), კლინსმანი
გოლები: კლინსმანი (2), მიოლერი

13. 06. ჩიკაგო.
აშშ — გერმანია 3:4
კეპე, კოლერი (კოლერი 73), ბუხვალდი, უფენბერგი, (მიოლერი 59), რიდლე, მათეუსი, შულცი, ბაინი, შტრუნცი, ციგე, კლინსმანი (ფელიპსენი 70)
გოლები: კლინსმანი, რიდლე (3)

19. 06. დეტროიტი.
გერმანია — ინგლისი 2:1
ილგნერი, შულცი, კელმერი, ბუხვალდი, შტრუნცი, მათეუსი, უფენბერგი (ცორკი 76), მიოლერი (ზამერი 64), ციგე, რიდლე, კლინსმანი
გოლები: უფენბერგი, კლინსმანი

22. 09. ტუნისი.
ტუნისი — გერმანია 1:1
ილგნერი, შულცი, ციგე, კოლერი, მათეუსი, უფენბერგი, ბუხვალდი (პოპო), მიოლერი, ბაინი, გაუდინო, რიდლე (კირსტენი)
გოლები: მიოლერი

13. 10. კარლსრუე.
გერმანია — ურუგვაი 5:0
კეპე, ბუხვალდი, კოლერი, კელმერი (ცორკი 73), მათეუსი, პესლერი, უფენბერგი, მიოლერი, ციგე (კირსტენი 61), კლინსმანი, რიდლე
გოლები: ბუხვალდი, მიოლერი, რიდლე,

კირსტენი, რომერო (საკ. კარ.)

17. 11. კიოლინი.
გერმანია — ბრაზილია 2:1
ილგნერი, ბუხვალდი, კოლერი, მათეუსი, კელმერი, ბრემე, პესლერი, უფენბერგი, მიოლერი, რიდლე (კირსტენი 34), კლინსმანი (გაუდინო 82)
გოლები: ბუხვალდი, მიოლერი

15. 12. მაიამი.
არგენტინა — გერმანია 2:1
კეპე, კელმერი, კოლერი, მათეუსი, ბუხვალდი, ბრემე, უფენბერგი, მიოლერი (ზამერი 70), პესლერი, კლინსმანი (ტონი 68), კირსტენი
გოლები: მიოლერი

18. 12. პალო ალტო.
აშშ — გერმანია 0:0
ილგნერი, ბუხვალდი, მათეუსი, კოლერი (ზამერი 46), ბრემე (ციგე 46), პესლერი (შტრუნცი 74), მიოლერი, უფენბერგი, აილტსი, კლინსმანი (ტონი 62), კუნცი
გოლები: მიოლერი, კუნცი, ტონი

22. 12. მესიკო.
მესიკო — გერმანია 0:0
ილგნერი, ციგე (კუნცი 65), კოლერი, მათეუსი, შულცი, შტრუნცი, გაუდინო (პესლერი 56), უფენბერგი (აილტსი 80), ზამერი, მიოლერი, კლინსმანი (კირსტენი 71)

უელსი

The Football Association of Wales
დაარსდა 1876
ფიფაში განევრინა 1910
უეფაში განევრინა 1954
ევროპის ჩემპიონატზე:
46: +19, =11, -16; 61-54

ამჟამად მწვრთნელი არა აქვას
1993 წელს ნათამაშევი მატჩები:

17.02 დუბლინი.
ირლანდია — უელსი 2:1
საუთპოლი (რობერტსი 84), ფილიპსი, აიზლუდი, იანგი (კოლიმანი 45), ბოინი, საიმონსი, ვილიამი (ალენი 75), პორნი, სპიდი, პემბრიჯი, პიუზი
გოლები: პიუზი

31.03 კარდიფი.
უელსი — ბელგია 2:0 მ.წ.წ.
საუთპოლი, აიზლუდი, იანგი, რეტკლიფი, ბოინი, პორნი, სპიდი (ფილიპსი 87), გიგზი (ბოინი 89), პიუზი, სანდერსი, რაში
გოლები: გიგზი, რაში

28.04 ოსტრავა.
ჩეხეთსლოვაკეთი — უელსი 1:1 მ.წ.წ.
საუთპოლი, საიმონსი, მური, მელვილი,

ფილიპსი, პორნი, ბოინი (ბოინი 53), პიუზი, რაში, სანდერსი, გიგზი
გოლები: პიუზი

05.06 ტორსჰავენი.
ფარერის კუნძულები — უელსი 0:3 მ.წ.წ.
საუთპოლი, ფილიპსი, ბოინი, აიზლუდი, იანგი (მელვილი 49), საიმონსი, პორნი, სანდერსი, რაში, პიუზი (სპიდი 75), გიგზი
გოლები: სანდერსი, იანგი, რაში

08.09 კარდიფი.
უელსი — ჩეხეთსლოვაკეთი 2:2 მ.წ.წ.
საუთპოლი, ფილიპსი, აიზლუდი, იანგი, ბოინი, პორნი, საიმონსი, სანდერსი, რაში, პიუზი, გიგზი
გოლები: გიგზი, რაში

13.10 კარდიფი.
უელსი — კვიპროსი 2:0 მ.წ.წ.
საუთპოლი, ფილიპსი, იანგი, მელვილი, ბოინი (ალენი 67), საიმონსი (ტონი 54), პორნი, სპიდი, გიგზი, რაში, სანდერსი
გოლები: სანდერსი, რაში

17.11 კარდიფი.
უელსი — რუმინეთი 1:2 მ.წ.წ.
საუთპოლი, ფილიპსი, იანგი, მელვილი, ბოინი (ალენი 67), საიმონსი (ტონი 54), პორნი, სპიდი, გიგზი, რაში, სანდერსი
გოლები: სანდერსი

ბულგარეთი

Bulgarski Futbolen Sojus
დაარსდა 1923
ფიფაში განევრინა 1924
უეფაში განევრინა 1954
ევროპის ჩემპიონატზე:
57: +24, =13, -20; 84-66

მწვრთნელი — დემიტარ პენევი
1993 წელს ნათამაშევი მატჩები:

10. 01. ბუჯა.
ტუნისი — ბულგარეთი 3:0
ანანიევი (ნიკოლოვი 46), მაჩევი (რაკოვი 70), ბეზინსკი, ცვეტანოვი, ანგელოვი, იანკოვი (პარუშევი 55), ნანკოვი (დონევი 46), კოილოვი (მეტკოვი 46), იგნატოვი (კრონიევი 46), პეტროვი (ვიოტოვი 46), ილიევი

18. 02. დუბაი.
არაბთა საემიროები — ბულგარეთი 1:0
პოპოვი, ზუბევი, ანგელოვი, ბეზინსკი (სლაჩევი 58), ცვეტანოვი (ვასევი 46), ზ. იანკოვი (მ. იანკოვი 58), მეტკოვი, სირაკოვი, პეტროვი (დობრეუსკი 46), ვიდოლოვი, ბორიშიროვი (ნანკოვი 46)

21. 02. დუბაი.
არაბთა საემიროები — ბულგარეთი 1:3
პოპოვი, ზუბევი, ბეზინსკი, ცვეტანოვი, ანგელოვი, ბორიშიროვი, ვიდოლოვი

გელოვი, ზ. იანკოვი, ბორიშიროვი, ვიდოლოვი (მეტროვი 75), მეტკოვი (ბიანკოვი 84), სირაკოვი, ნანკოვი
გოლები: სირაკოვი, ვიდოლოვი, ბორიშიროვი

14.04 ვენა.
ავსტრია — ბულგარეთი 3:1 მ.წ.წ.
მიხაილოვი, დონევი (ლუჩკოვი 73), ივანოვი, ნ. ილიევი, ბეზინსკი (ისკრენოვი 85), იანკოვი, კირიაკოვი, ბალაკოვი, კოსტადინოვი, *პენევი, სტოიჩკოვი
გოლები: ივანოვი

28.04 სოფია.
ბულგარეთი — ფინეთი 2:0 მ.წ.წ.
მიხაილოვი, კირიაკოვი, რაკოვი, მარკოვი (ბეზინსკი 90), იანკოვი, ლუჩკოვი, სირაკოვი, ბალაკოვი, კოსტადინოვი (ისკრენოვი 58), სტოიჩკოვი, პენევი
გოლები: სტოიჩკოვი, იანკოვი

2.05 სოფია.
ბულგარეთი — ისრაელი 2:2 მ.წ.წ.
მიხაილოვი, კირიაკოვი, ივანოვი (იანკოვი 37), მარკოვი, რაკოვი, ლუჩკოვი (ბორიშიროვი 65), ბალაკოვი, სირაკოვი, ისკრენოვი, პენევი, სტოიჩკოვი
გოლები: სტოიჩკოვი, სირაკოვი

8.09 სოფია.
ბულგარეთი — შვედეთი 1:1 მ.წ.წ.
ანანიევი, კრემენლიევი, ივანოვი, რაკოვი, ცვეტანოვი, იანკოვი, ლუჩკოვი, ბალაკოვი, კოსტადინოვი (იორდანოვი 78), ალექსანდროვი (დონევი 55), სტოიჩკოვი
გოლები: სტოიჩკოვი

13.10 სოფია.
ბულგარეთი — ავსტრია 4:1 მ.წ.წ.
მიხაილოვი, კრემენლიევი, ივანოვი, ზუბევი, ცვეტანოვი, იანკოვი (ტოდოროვი 80), ლუჩკოვი, ბალაკოვი, კოსტადინოვი (ბორიშიროვი 60), პენევი, სტოიჩკოვი
გოლები: პენევი, სტოიჩკოვი, ლუჩკოვი

17.11 პარიზი.
საფრანგეთი — ბულგარეთი 1:2 მ.წ.წ.
მიხაილოვი, კრემენლიევი, ზუბევი, ივანოვი, ცვეტანოვი (ალექსანდროვი 82), ლუჩკოვი (ბორიშიროვი 82), იანკოვი, ბალაკოვი, სტოიჩკოვი, კოსტადინოვი, პენევი
გოლები: კოსტადინოვი

ალბანეთი

Federata Shqiptare Futbollit
დაარსდა 1930
ფიფაში განევრინა 1932
უეფაში განევრინა 1954
ევროპის ჩემპიონატზე:
33: +3, =4, -26; 14-77

მწვრთნელი — ბაიყუმ ბირჩე
1993 წელს ნათამაშევი მატჩები:

17. 02. ტირანა.
ალბანეთი — ჩრდ. ირლანდია 1:2 მ.წ.წ.
კაპილარი, ზმიანი, ვატა, ბაკო, კაცია, მოზგო, ლეკელო, ფორტუზი, აბაზი, რაკლი, დემოლარი
გოლები: რაკლი

14. 04. ვილინუსი.
ლიტვა — ალბანეთი 3:1 მ.წ.წ.
კაპილარი, დემა, შულკუ, ბანო, ტახო, ოცელი, კუმბა, პეკინი, დალიბი (დოსტი 46), ფორტუზი, დემოლარი
გოლები: დემოლარი

15. 05. რიგა.
ლატვია — ალბანეთი 0:0 მ.წ.წ.
ნალბანი, ოცელი, ბანო, შალა, ვატა, შულკუ, კუმბა, ზალა (კაბეტანი 87), პეკინი, მილორი, ფორტუზი (დალიბი 77)

26. 05. ტირანა.
ალბანეთი — ირლანდია 1:2 მ.წ.წ.
მუმბა, ზმიანი (ფორტუზი 58), ვატა, შულკუ, შალა, ლეკელო, კუმბა, პეკინი, დემოლარი, მილორი, რაკლი
გოლები: კუმბა

02. 06. კოპენჰაგენი.
დანია — ალბანეთი 4:0 მ.წ.წ.
დანი, ზმიანი, შულკუ, ვატა, შალა, ოცელი, ბანო, დემოლარი (ბოზგო 17), კუმბა, პეკინი, ფორტუზი (ზალა 83)

08. 09. ტირანა.
ალბანეთი — დანია 0:1 მ.წ.წ.
სტრაკოშა, ზმიანი, ვატა, კაცია, ლეკელო, ბანო, შულკუ, კუმბა, მილო, დემოლარი, ფორტუზი

მოლდოვა

Federatia Moldoveneasca de Fotbal
დაარსდა 1991
ფიფაში განევრინა 1993
უეფას ასოცირებული წევრი — 1993
ევროპის ჩემპიონატის დებიუტანტი

1993 წელს არ უთამაშია



1991, 2 ივლისი, კიშინიოვი, მოლდოვა — საქართველოს მატჩის წინ

1:500 - საქართველოს ნაპრების ჩამოვიწოვები

ურთიერთგახვედრათა ბალანსი

Table showing match results and scores for various teams in Georgia, organized into sections I through VI.

დასაწყისი პირველ გვერდზე

მოლოდულ რეზილენციის ჩრდილოეთით მდებარეობს... ქვეყნის მოსახლეობის მხოლოდ ერთ-მესამედს...

კაცი მოვიდა და გამეცნო: ვი კვლია. წარმოშობით ქართველი ბატონი კვლია... მოლოდულ რეზილენციის ჩრდილოეთით...

დავით მამულაშვილი ტელეფონით მანქანტირის

გერმანია ფაქობრიზია არს ჩვენ პართ უივალოდ

- 1. რა აზრისა ხართ ჩვენს შესარჩევ ჯგუფზე? 2. გვაქვს თუ არა ფინალურ ეტაპზე გასვლის შანსი?

რამაზ შანგალია

1) გერმანია ფაქობრიზია, მეორე ადგილზე პრეტენზიას ბულგარეთი, უელსი და ჩვენ განვაცხადებთ...

2) ჯგუფიდან გასვლის შანსი გვაქვს. ოპტიმისტები უნდა ვიყოთ და მალე დავებრუნდეთ...

გიგა ნორაკიძე

1) ძალიან საინტერესო ჯგუფია. გერმანიის შემდეგ ბულგარები, უელსი და ჩვენი საკრები მოდის...

2) ჯგუფიდან გასვლა, თუ ყველა უძლიერესი ფეხბურთელი შევრებას და კარგი მოსამზადებელი ციკლის ჩატარება...

მურთაზ ხუცილია

1) როდესაც საქართველო გამოაცხადეს, ჩემზე ბენდიერი კაცი არ მგონია...

2) მწელია თქმა, ჩვენ წამ გერმანიის საკრების გარდა არავის ვინებთ...

თინათინ სულაშვილი

1) გერმანიის გარანტირებული აქვს გასვლა. ალბანეთი და მოლოდულ აუტსაიდე...

რები არიან, ჩვენ კი ბულგარეთსა და უელსთან გვეყენება ძირითადი ბრძოლა...

სასი გომიჩაიშვილი

1) ჩემი აზრით საქართველო ნორმალურ ჯგუფში მოვხვდით. გერმანია გამოკვეთილი...

2) ჩემი აზრით გასვლის შანსი გვაქვს, დაახლოებით ორმოცდაათი პროცენტით...

გივი ნოღია

1) საქართველო ნორმალურ ჯგუფში მოვხვდით. თუ კარგად ვითამაშებთ...

2) გასვლის შანსი ნამდვილად გვაქვს. ძირითადი მეტოპენი გერმანია, უელსი და ბულგარეთია.

მიხეილ ყაველაშვილი

1) ძალიან კარგი ჯგუფია. საქართველო ძლიერი. მე გერმანიის და ბულგარეთს უელსზე წინ დავაყენებ...

2) გასვლის შანსი გვაქვს, ურიგო საკრები არ უნდა გვაქვს. თუ სერიოზულად მოვმზადდებით...

გიორგი ნეხაძე

1) ძალიან ძლიერ ჯგუფში მოვხვდით: გერმანია ყოველთვის გერმანიაა, ბულგარეთი ავერ მსოფლიოს ჩემპიონატზე...

2) გასვლის შანსი რა თქმა უნდა გვაქვს. ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ ჩვენი გუნდი ნაყოფიერ მოსამზადებელ პერიოდს გაივლის...



